ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამისა *დიაკონოვის* საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2025 წლის 30 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ნოემბრამდე

სახელი, გვარი: მამისა დიაკონოვი

თანამდებობა: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

არჩევის წესი: პროპორციული

ფრაქცია: „ხალხის ძალა“

I. კომისიების წევრობა:

- სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია;
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

დამატებითი საქმიანობა: მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

ანგარიში ასახავს ჩემს საქმიანობას საკრებულოსა და შესაბამისი კომისიების მუშაობაში, სხდომებზე დასწრების მაჩვენებლებს, მუნიციპალიტეტის სოციალური მხარდაჭერის, კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდობისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებებით მიღებულ სამართლებრივ აქტებსა და მუნიციპალური პოლიტიკის ძირითად საკითხებს.

საქმიანობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობა, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინება და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში ჩართულობა.

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საკრებულოს რეგლამენტისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით.

II. საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 17 სხდომა, რომელთაგან დავესწარი 14-ს.

საკრებულოს სხდომებზე ვმონაწილეობდი და აქტიურად ვიყავი ჩრთული, სადაც განიხილებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სოციალური პროგრამები, მუნიციპალური

ქონება, ინფრასტრუქტურული პრიორიტეტები და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხები.

III. სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში საქმიანობა

ჩატარდა 5 სხდომა, რომელთაგან დავესწარი 3-ს.

ჩემი საქმიანობის სფერო მოიცავს სოციალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხების განხილვაში მონაწილეობას.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, რომლებიც აღნიშნული კომისიის კომპეტენციის სფეროებს უკავშირდება და დავუჭირე მხარი.

პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა — დადგენილება №41

მიღების თარიღი: 2025 წლის 24 დეკემბერი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №41 — „ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის უზრუნველყოფა. პროგრამა ამოქმედდა 2026 წლის 1 იანვრიდან.

ზემოაღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია სოციალური დაცვისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების თვალსაზრისით. მისი ასახვა ჩემს საქმიანობის ანგარიშში საჭიროა როგორც მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება.

- 2026 წლის სოციალური დახმარების წესის დამტკიცება — დადგენილება №42

მიღების თარიღი: 2025 წლის 24 დეკემბერი.

საკრებულომ მიიღო დადგენილება №42 — „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მოსარგებლეთა კატეგორიებსა და შესაბამის პროცედურებს. ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების განხორციელებასა და მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას.

- 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება — დადგენილება №43

მიღების თარიღი: 2025 წლის 24 დეკემბერი.

საკრებულომ მიიღო დადგენილება №43 — „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

ბიუჯეტი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ პრიორიტეტებსა და სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამის დაფინანსების ჩარჩოს, მათ შორის სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული და ინფრასტრუქტურული მიმართულებებით.

- სპორტისა და ხელოვნების სფეროში წარმატებული პირების ფინანსური მხარდაჭერა — დადგენილება №3

მიღების თარიღი: 2026 წლის 29 იანვარი.

საკრებულომ მიიღო დადგენილება №3, რომელიც განსაზღვრავს ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გუნდების, მუსიკისა და ხელოვნების სფეროში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და მუსიკალური გუნდების ფინანსური დახმარების წესს.

- სპორტისა და ხელოვნების სფეროში ფინანსური დახმარების წესში ცვლილება — დადგენილება №6

მიღების თარიღი: 2026 წლის 4 თებერვალი.

საკრებულომ მიიღო დადგენილება №6, რომლითაც ცვლილება შევიდა 2026 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესში.

- სოციალური დახმარების წესში ცვლილება — დადგენილება №13

მიღების თარიღი: 2026 წლის 6 მარტი.

საჯარო სამართლებრივი აქტების მიხედვით, ცვლილება შევიდა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში.

ზემოთ ჩამოთვლილი სამართლებრივი აქტები ასახავს საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებებს. რაც მხარდაჭერილი იქნა ჩემ მიერ.

IV. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში საქმიანობა

ჩატარდა 3 სხდომა, რომელთაგან დავესწარი 2-ს.

ასევე ჩემი საქმიანობის სფეროა სივრცითი დაგეგმარების, ტერიტორიული განვითარების, ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური პროექტების განხილვაში მონაწილეობა. აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში.

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამის დაფინანსება, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის მიმართულებებით. ეს საკითხები უკავშირდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ განვითარებას, დასახლებების კეთილმოწყობასა და მოსახლეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

- ბიუჯეტის ცვლილება — დადგენილება №12

მიღების თარიღი: 2026 წლის 6 მარტი.

საკრებულომ მიიღო დადგენილება №12, რომელიც ეხება 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას.

საბიუჯეტო ცვლილებებით დაზუსტდა მუნიციპალური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხი.

აღნიშნული საკითხები უკავშირდება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის საქმიანობის სფეროს. კონკრეტული კომისიის დასკვნა და ჩემი პირადი მხარდაჭერა დადასტურდა შესაბამისი სხდომის ოქმით.

V. ფრაქცია „ხალხის ძალის“ წევრობა

ვარ ფრაქცია „ხალხის ძალის“ წევრი. ფრაქციის ფარგლებში ჩემი საქმიანობა უკავშირდება საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობას და მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხილვას. ფრაქციის სხდომებზე განხილული საკითხების, წარდგენილი წინადადებებისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების პროცესში აქტიურ ჩართულობას.

VI. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიაში საქმიანობა

საკრებულოს წევრის საქმიანობასთან ერთად ვარ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

ამ მიმართულებით ჩემი საქმიანობა უკავშირდება შესაბამისი კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხილვასა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებაში მონაწილეობას.

VII. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 9, შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა შეადგენს 340-ს.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- წყალ-საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება/რეაბილიტაცია პეტრე-იბერის, ზედგინიძის, წერეთლის და ბაღინაშვილის ქუჩებზე;
- გარე განათების ბოძებზე ნათურების შეცვლა;
- მესხეთისა და ბაღინაშვილის ქუჩებზე საბავშვო გასართობი სკვერისა და მოედნის მოწყობის საკითხი;
- მე-4 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნის საკითხი;
- მიუსაფარი ცხოველების პრობლემის მოგვარების საკითხი;
- ზამთრის პერიოდში უხვი ნალექისგან გზის სავალი ნაწილის გასუფთავების საკითხი;
- უბნებზე ნაგვის ბუნკერების დამატების და დადგმის საკითხი;
- მესხეთის ქუჩის N9 და N11 მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის საკითხი;
- მესხეთის ქუჩაზე, ყოფილი სკოლა-ინტერნატის ღობის და ტროტუარის მოწესრიგების საკითხი;
- შინმოვლის საჭიროების მქონე მარტოხელა მოხუცების დახმარების საკითხი;
- შეხვედრები მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებთან ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და მუნიციპალურ პროგრამებში ჩართვის მიზნით;
- გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის და სანიაღვრე არხების მოწესრიგების საკითხი ბაღინაშვილ- სამსონიძის ქუჩებზე;

VIII. მოქალაქეთა პრობლემებზე რეაგირება, მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები

მოქალაქეების პრობლემების შესახებ ინფორმაციას ვაწვდიდი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, აღნიშნული პრობლემების ნაწილის მოგვარება მოხდა მყისიერად, ნაწილი შესწავლის და მოწესრიგების პროცესშია.

აქტიურად ვიყავი ჩართული ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის, სამთავრობო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ აქტივობებში, ვესწრებოდი თემატურ ტრენინგებს და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.

IX. დასკვნა

საანგარიშო პერიოდში ჩემი საქმიანობა მოიცავდა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებას, საკრებულოს სხდომებსა და ორი კომისიის მუშაობაში მონაწილეობას, ფრაქცია „ხალხის ძალის“ წევრობასა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიაში საქმიანობას.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ფარგლებში საჯარო სამართლებრივი აქტებით განისაზღვრა პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა, სოციალური დახმარების გაცემის წესი, 2026 წლის ბიუჯეტი, სპორტისა და ხელოვნების სფეროში წარმატებული პირების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები და საბიუჯეტო პროგრამების ცვლილებები.

ჩემი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია სოციალური საჭიროებების, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხების განხილვა, აგრეთვე სივრცითი დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მონაწილეობა.

ანგარიშის წარმდგენი: მამისა დიაკონოვი

თანამდებობა: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

თარიღი: 30.10.26

ხელმოწერა: _____